განკარგულება:**გ-81. 8125364001**
თარიღი:**30/12/2025**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №81

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში, რუსთაველის ქუჩა N69-ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.22.002) ფართის ნაწილის, შენობის პირველ სართულზე მდებარე ერთი ოთახის - საერთო ფართი 30.00 კვ.მ პირდაპირი განკარგვის წესით - უსასყიდლო ,,უზუფრუქტი" ორი წლის ვადით სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ ,,შშმ პირთა დახმარებისა და რეაბილიტაციის ცენტრისთვის'' (ს/ნ 44495993) გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ. დ" ქვეპუნქტის, 61-მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. თანხმობა მიეცეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქ. ცაგერში, რუსთაველის ქუჩა N69-ში მდებარე შენობის (ს/კ 89.03.22.002) ფართის ნაწილის, შენობის პირველ სართულზე მდებარე ერთი ოთახის - საერთო ფართი 30.00 კვ.მ პირდაპირი განკარგვის წესით - უსასყიდლო ,,უზუფრუქტი" ორი წლის ვადით სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ ,,შშმ პირთა დახმარებისა და რეაბილიტაციის ცენტრისთვის" (ს/ნ 44495993) გადაცემაზე.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი რუსთაველის ქუჩა №69).

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვასილ საღინაძე

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი